ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 4125029001**
თარიღი:**29/01/2025**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის დამტკიცების შეფასების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის (დებულების) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, დანართის შესაბამისად.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2024 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე .
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ, სენაკი, შ რუსთველის ქ. №247)

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ა ნ გ ა რ ი შ ი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ 2024 წელს ჩაატარა 11 სხდომა, სადაც განხილული იქნა 17 საკითხი. ასევე ჩატარდა 1 საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა. კერძოდ:

2024 წლის 15 თებერვალს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

2024 წლის 25 მარტს

1. ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრის“ ანგარიშის მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
3. ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტის დაფინანსების ინიცირების მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე
4. ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“

2024 წლის 2 აპრილს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-9 ქუჩის, I და II ჩიხისათვის სახელის გადარქმევის თაობაზე

2024 წლის 28 მაისს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

2024 წლის 14 ივნისს

1. სენაკის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების თაობაზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიშის მოსმენის ცნობად მიღების თაობაზე.

2024 წლის 24 ივლისს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გახომელას მე-9 ქუჩის I და II ჩიხებისათვის გივი ფანცულაიას სახელის მინიჭების თაობაზე

2024 წლის 20 ოქტომბერს

1. ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

2024 წლის 12 აგვისტოსს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

2. ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურეობის ცენტრის“ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

2024 წლის 18 სექტემბერს

1. 2024 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სენაკის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მხრივ გათვალისწინებული სამუშაოების თაობაზე ანგარიშის მოსმენის ცნობად მიღების თაობაზე.

2024 წლის 10 ოქტომბერს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ლეგოგიე-ნასაჯუში მდებარე ქუჩის სახელდების შესახებ

2024 წლის 17 ოქტომბერს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საგაბესკირიოში მდებარე ქუჩის სახელდების შესახებ

19-20 ნოემბერს:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე”

2024 წლის 21 ნოემბერს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წელს მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

კომისიის სხდომებზე განხილული პროექტები მომზადებულად იქნა მიჩნეული ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისათვის. რიგ შემთხვევაში, სხდომაზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციები. ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტებთან ერთად მომზადებული სამართლებრივი აქტის პროექტები და სხდომაზე მიღებული კომისიის დასკვნები, გატანილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად, რაზედაც საკრებულოს მიერ მიღებულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ამავე პერიოდში განხილული იქნა სხვადასხვა შინაარსის განცხადება. რიგი წერილებისა განსახილველად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობა განმცხადებლებს. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.